„განცალკევებული აღრიცხვის მეთოდოლოგიის “ საჯარო კონსულტაციების ფარგლებში ოპერატორების მიერ დასმულ შეკითხვებზე „Ernst &Young“-ის პასუხები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა საკონსულტაციო კომპანიამ „Ernst and Young“-მა, სატენდერო პირობების შესაბამისად, წარმოადგინა **„განცალკევებული აღრიცხვის მეთოდოლოგიის“** საკონსულტაციო დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნებულ იქნა კომისიის ვებ გვერდზე 2015 წლის 12 ოქტომბერს. 2015 წლის 27-28 ოქტომბერს კომისიაში მოწვეულნი იყვნენ ოპერატორები, სადაც „Ernst & Young“-ის პოლონეთის ოფისის წარმომადგენლებთან ერთად მოხდა ზემოაღნიშნული დოკუმენტის საჯარო განხილვა.

2015 წლის 11 ნოემბრის წერილით შპს „მაგთიკომს“, შპს „ჯეოსელს“, შპს „მობიტელს“, სს „სილქნეტს“, შპს „ახალ ქსელებს“, შპს „ახტელს“, შპს „ივერია ქსელებს“, შპს „კავკასუს ონლაინს“, შპს „ფოპტნეტს“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“ გაეგზავნათ **განცალკევებული აღრიცხვის მეთოდოლოგის** საკონსულტაციო დოკუმენტი. რასთანაც დაკავშირებით ეთხოვთ კომისიაში არგუმენტირებული შენიშვნების და კომენტარების წერილობით გამოგზავნა. ოპერატორების მიერ წარმოდგენილ შენიშვნებზე და კომენტარებზე **„Ernst and Young**“-ის მიერ გაცემული პასუხები მოცემულია კომპანიების მიხედვით.

<u>შპს „მაგთიკომი“</u>

მუხლი 1,1: „თითოეული ბიზნესერთეულის დატვირთულ კაპიტალზე უკუგება შეიძლება შეედაროს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას (WACC), რომელსაც ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები იყენებენ ინფრასტრუქტურაზე დაშვების დანახარჯის გასაანგარიშებლად“

კითხვა: შედარების შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობის შემთხვევაში რა შესაძლო ნაბიჯები შეიძლება იქნას გადადგმული ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მიერ ოპერატორთან მიმართებაში? რა რეგულაციები არსებობს შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში?

პასუხი:

შეუსაბამობებმების გამოვლენით/იდენტიფიცირებით კომისია ყურადღებას გაამახვილებს ბაზრის მონაწილეების გარკვეულ ქცევასთან დაკავშირებით, თუმცა ასეთი შეუსაბამობები არ იძლევა ამ შეუსაბამობების ზუსტი მიზეზის დადგენის საშუალებას. შესაბამისად კომისიამ შეიძლება დამატებითი კვლევა და ანალიზი ჩაატაროს შეუსაბამობების ზუსტი მიზეზის განსაზღვრისთვის და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს.

მუხლი 2: "სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორმა უნდა მოამზადონ მარეგულირებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგება 2015 წლისთვის ხარჯების გაანგარიშების პირვანდელი ღირებულებით აღიცხვის მეთოდის გამოყენებით. მარეგულირებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგება შემდგომი პერიოდებისთვის, 2016 წლიდან, უნდა მომზადდეს დანახარჯების მიმდინარე ღირებულებით აღრიცხვის მეთოდით."

კითხვა: რა პერიოდულობით და რა ვადებში უნდა მოხდეს მოთხოვნილი ანგარიშგების წარდგენა?

პასუხი:

სავალდებულო ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ყოველწლიურად.

2015 წლის სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების მომზადების ვადები განსაზღვრული იქნება აღნიშნული საჯარო კონსულტაციის ჩატარების და შესაბამისი საკანონდებლო ნორმების მიღების/ცვლილების საფუძველზე.

შემდეგი პერიოდებისთვის მომზადების ვადები შემდეგია:

1) ეტაპი 1 - სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორმა უნდა მოამზადოს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტის პირველადი ვერსია და წარუდგინოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას, სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე არაუგვიანეს 8 თვით ადრე (დაახლ. 20xx-1 ოქტომბრის ბოლოსთვის). ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტის პირველადი ვერსიის წარდგენის შემდეგ, კომისიამ შეიძლება წარმოადგინოს შენიშვნები და დოკუმენტში ცვლილებების შეტანის წინადადებები. სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორმა უნდა მოამზადოს სააღრიცხვო პოლიტიკის საბოლოო ვერსია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შენიშვნებისა და მის მიერ მოთხოვნილი ცვლილებების გათვალისწინებით, და საბოლოო ვერსია წარუდგინოს კომისიას. კომისია ამოწმებს, შესულია თუ არა მოთხოვნილი ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტში, და ამტკიცებს მას.
2) ეტაპი 2 - სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორმა უნდა გამოაქვეყნოს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტაციის საჯარო ვერსია ფინანსური წლის დასრულებიდან ოთხ თვეში - დაახლ. 20xx აპრილის ბოლოს.
3) ეტაპი 3 - სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა წარუდგინოს მარეგულირებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგება (სრული ვერსია), სააღრიცხვო პოლიტიკა (სრული ვერსია) და შესაბამისი აუდიტორული მოსაზრება ფინანსური წლის დასრულებიდან 6 თვეში (დაახლ. 20xx ივნისის ბოლო). ამავდროულად, ოპერატორმა უნდა გამოაქვეყნოს სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების საჯარო ვერსიები და შესაბამისი აუდიტორული მოსაზრება.

*მუხლი 2,1:„პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვისას თვითღირებულება შემდეგი ფორმულით გამოიანგარიშება:თვითღირებულება = Opex (t) + ცვეთა (t) + WACC * (NBVav + WCav)"*

კითხვა: აქტივების თვითღირებულების გამოანგარიშების ზემოთ მოყვანილ ფორმულაში, რა იგულისხმება საოპერაციო ხარჯებში?

პასუხი: საოპერაციო ხარჯებში შემდეგი ძირითადი კატეგორიები შედის:

a) გაყიდული საქონელი და მასალები (მაგ. ტელეფონები, მოდემები, STB, SIM ბარათები);
b) მასალები (მაგ. საწვავი და ელექტროენერგია);
c) ხელფასები და ხელფასებთან დაკავშირებული სხვა ხარჯები;
d) ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება (მაგ. ქსელის ტენიკური მომსახურება, ოფისების სამეურნეო მომახურება, საინფორმაციო ტექნოლოგიების აუთსორსინგი);
e) საიჯარო ხარჯი (მაგ. ქსელის ობიექტები, ტექნიკური დანიშნულების შენობები, ოფისები, საცალო მაღაზიები);
f) მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი;
g) გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები (მაგ. დილერების გასამრჯელო)
h) ბილინგთან და ინვოისების გამოწერასთან დაკავშირებული დანახარჯები (მაგ. საფოსტო დანახარჯები, ინვოისების მომზადება და ბეჭდვა);
i) სხვა ოპერატორებისთვის გადახდილი მიღებული საბითუმო მომსახურების ხარჯები (მაგ. ურთიერთჩართვის, როუმინგის, პირინგული დანახარჯები);
j) ლიცენზიის გადასახადი (მაგ. სიხშირული რესურსის გამოყენების)
k) გადასახადები

გასათვალისწინებელია ის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებიდან ოპერატორებმა შეიძლება ზოგიერთი მუხლი ძირითადი საშუალებების კატეგორიაში აღრიცხონ (მაგ. მოდემები, ტელეფონები). ასეთ შემთხვევებში მსგავსი კატეგორიები არ უნდა შევიდეს საოპერაციო ხარჯებში.

მუხლი 2,2:„წმინდა ჩანაცვლების დანახარჯი არის შეფასების მეთოდი, რომლის მიხედვითაც აქტივის ღირებულება უდრის აქტივის დღევანდელ ღირებულებას გადაფასების მომენტისთვის, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით გამოწვეული დაგროვილი ჩამოწერების ჯამი.“

კითხვა: რა იგულისხმება ტერმინში აქტივის დღევანდელი ღირებულება?

პასუხი: აქტივის დღევანდელი ღირებულება არის მისი მთლიანი ჩანაცვლების ღირებულება.

მუხლი 2,2:„აქტივების შეფასება წმინდა ჩანაცვლების დანახარჯის მიხედვით ოთხ მიდგომას შეიძლება ეყრდნობოდეს:პირვანდელი ღირებულებების გამოყენება (პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვა), გარკვეული აქტივების ფასების ინდექსაცია, აქტივის დეტალური გადაფასება, თანამედროვე ეკვივალენტური აქტივის გადაფასება“

შენიშვნა: გთხოვთ მოგვაწოდოთ ზემოხსენებული მეთოდებით აქტივების შეფასების კონკრეტული თვალსაჩინო მაგალითები

პასუხი: „ განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის სახელმძღვანელო მითითებების“ დოკუმენტში იხილეთ 2.2-ე პუნქტი (ინგლისურ ვერსიაში 4.2 მუხლი).

მუხლი 2,3: „ზემოაღნიშნულის თანახმად, მომსახურების გასაყიდი ფასები უნდა დაკორექტირდეს იმგვარად, რომ დაგეგმილმა შემოსავალმა დაფაროს შემდეგი:საოპერაციო დანახარჯები და აქტივების თვითღირებულების წლიური მაჩვენებლის გამოთვლა (ე.ი.:ცვეთა მიმდინარე ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის მიხედვით; დამატებით დარიცხული ცვეთა; კაპიტალის ღირებულება; ფლობასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი.)დაგეგმილი შემოსავლის ფორმულა ასე გამოიყურება:

$$\mathbf{R = OPEX + D_{CCA} + BD + CC_{CCA} \mp HG/L}\text{“}$$

კითხვა: რა ეტაპზე უნდა მოხდეს ფასების კორექტირება და რა იგულისხმება დაგეგმილ შემოსავალში?

პასუხი: ეს ფორმულა აღწერს ფინანსური კაპიტალის უზრუნველყოფის (FCM) მიდგომას, რაც იმას ნიშნავს, რომ განცალკევებული აღრიცხვის მოდელისათვის დანახარჯების ბაზა უნდა იქნას გაანგარიშებული მიზნობრივი შემოსავალის მიხედვით. (This formula describes the Financial Capital Maintenance (FCM) approach. And it means that the cost base for the accounting separation model should be calculated as a target revenue).

შენიშვნა: გთხოვთ მოგვაწოდოთ განცალკევებული აღრიცხვის მიზნებისათვის შედგენილი ფინანსური ანგარიშგების მოდელი (ნიმუში), სადაც თვალსაჩინოდ და სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშის შედგენის თითოეული ნაბიჯი.

პასუხი: „ განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის სახელმძღვანელო მითითებებში“ აღწერილი პრინციპებისა და მეთოდების მიხედვით მოდელი ოპერატორებმა უნდა მოამზადონ. კომისიას არ აქვს ფინანსური ანგარიშგების მოდელის ნიმუში.

კითხვა: P2G და P3G პროცენტული მაჩვენებელი საიდან აიღება (ხომ არ აიღება მე-2 და მე-3 თაობების ჯამური ხმოვანი ტრაფიკიდან)

პასუხი: მეთოდოლოგიის თანახმად, P_{2G} და P_{3G} პროცენტული წილი უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ ხმოვან ტრაფიკს. აქედან გამომდინარე, P_{2G} გამოითვლება მეორე თაობის ქსელის მიერ მიწოდებული ხმოვანი ტრაფიკის მოცულობის გაყოფით მეორე და მესამე თაობის ქსელების მეშვეობით მიწოდებული ხმოვანი ტრაფიკის მთლიან მოცულობაზე. და შესაბამისად P_{3G} გამოითვლება მესამე თაობის ქსელის მიერ მიწოდებული ხმოვანი ტრაფიკის მოცულობის გაყოფით მეორე და მესამე თაობის ქსელების მეშვეობით მიწოდებული ხმოვანი ტრაფიკის მთლიან მოცულობაზე.

კითხვა: PG დაPE ხომ არ იგულისხმება GPRS და EDGE წილობრივი მაჩვენებლები

პასუხი: P_G გამოითვლება GPRS ტრაფიკის მოცულობის შეფარდებით GPRS-ის და EDGE-ის მიერ მიწოდებული ტრაფიკის მოცულობასთან. P_E გამოითვლება EDGE ტრაფიკის მოცულობის შეფარდებით GPRS-ის და EDGE-ის მიერ მიწოდებული ტრაფიკის მოცულობასთან.

კითხვა: ρGდაρE -სთვის რა დროის ინტერვალი უნდა იყოს აღებული

პასუხი: თუ არ არის შესაძლებელი მაჩვენებლების გაანგარიშება წლიურ მონაცემებზე დაყრდნობით, სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტში უნდა მიეთითოს ხელმისაწვდომად შერჩეული მონაცემების დასაშვები ოდენობა. შერჩეული მონაცემების მოცულობა და გადანაწილება უნდა ასახავდეს ტრაფიკის წლიურ ან ყოველდღიურ გადანაწილებას.

კითხვა: t -ს განმარტება „დროითი ინტერვალის საშუალო რაოდენობა ერთ ხმოვან გა მოძახებაზე“ გაუგებარია, ხომ არ იგულისხმება „დროითი ინტერვალის საშუალო ხანგრძლივობა ერთ ხმოვან გამოძახებაზე“ ან „დროითი ინტერვალების საშუალო რაოდენობა ერთხმოვან გამოძახებაზე“

პასუხი: ნიშნავს "დროის ინტერვალების საშუალო რაოდენობას ერთ ხმოვან ზარზე" (“timeslots average quantity for one voice call”)

კითხვა: nCE -ის განმარტება შინაარსობრივად გაუგებარია, ხომ არ უნდა იყოს შემდეგნაირად: „ ხმოვანი ზარების განსახორციელებლად გამოყენებული CE--ის რაოდენობა“. აქვე გვინდა ავღნიშნოთ რომ CE -ები გამოიყენება როგორც ხმოვანი ზარების განსახორციელებლად ასევე მონაცემთა გადაცემის დროს და მათი გამიჯვნა ერთმანეთისგან დანიშნულების მიხედვით შეუძლებელია

პასუხი: nCE ნიშნავს "CE-ების რაოდენობას, რომლებიც გამოიყენება ხმოვანი ზარის გასახორციელებლად". CE-ების რაოდენობა ერთ მომსახურებაზე უნდა ეყრდნობოდეს დაგეგმვის/დაკვეთის ეტაპზე გაკეთებულ საინჟინრო დაშვებებს, რომელთა საფუძველზეც ხდება იმის გამოთვლა, თუ რამდენი CE არის საჭირო ერთ NodeB-ზე ტრაფიკის დაგეგმილი მოცულობისთვის. (It means “number of CEs used to make voice call”. Number of CE per service should be based on the engineering assumptions used at the planning/ordering stage used to calculate how many CEs per NodeB are required to handle the assumed volume of the traffic).

კითხვა: ρUMTS -ს და ρHSDPA -ს განმარტებებში რას ნიშნავს UMTS ბიტრეიტი, ხომ არ იგულისხმება UMTS R99 ბიტრეიტი და რას ნიშნავს „არხის თითოეულ ელემენტზე“

პასუხი: UMTS ბიტრეიტი ნიშნავს UMTS R99 ბიტრეიტს.

UMTS ბიტრეიტი არხის ერთი ელემენტისთვის გამოითვლება UMTS R99 ბიტრეიტის (384 კბტ/წმ) გაყოფით UMTS R99 ბიტრეიტით გადაცემის უზრუნველსაყოფად საჭირო CE-ების საშუალო რაოდენობაზე (384 კბტ/წმ. HSDPA ბიტრეიტი არხის ერთი ელემენტისთვის გამოითვლება HSDPA ბიტრეიტის (მაგ. 42 მეგაბიტი წამში) გაყოფით HSDPA ბიტრეიტით გადაცემის უზრუნველსაყოფად საჭირო CE-ების საშუალო რაოდენობაზე (მაგ. მეგაბიტი წამში).

კითხვა: მოკლე ტექსტურ შეტყობინებასთან დაკავშირებით გთხოვთ დაურთოთ დაანგარიშების ფორმულა და განმარტებები

პასუხი: SMS-ის მოცულობა მეგაბაიტებში [მგბტ] = SMS-ის წლიური მოცულობა (შიდა ქსელური, შემომავალი, გამავალი) [SMS ერთეულები]* SMS-ის საშუალო ზომა [მგბტ] (Volume of Mbytes SMS [Mbytes] = Annual volume of SMS (on-net, incoming, outgoing) [SMS units]* average SMS size [Mbytes])

1.3.1.2 პუნქტთან დაკავშირებით კითხვები/შენიშვნები:

კითხვა: VoIP ტრაფიკის დასათვლელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოყენებული იქნას კოდეკებზე დაყრდნობით გამოთვლა

კითხვა: კონკრეტულად რომელი ფაქტორის გამოყენებით უნდა მოხდეს კომუტირებადი არხის ხმოვანი ტრაფიკის გადაყვანა მეგაბაიტებში.

პასუხი: ოპერატორებმა ხმოვანი ტრაფიკის მოცულობა უნდა იანგარიშონ მეგაბაიტებში, შემდეგ ეტაპებად:

1) უნდა ვიანგარიშოთ VoIP არხის საშუალო გამტარუნარიანობა 1.3.1.2. პუნქტში მოცემული ფორმულის გამოყენებით. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოყენებული ყველა მონაცემი უნდა ჩამოითვალოს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტში
2) უნდა ვიანგარიშოთ მეგაბაიტების საშუალო მოცულობა ზარის ერთ წუთზე, შემდეგი ფორმულის გამოყენებით

$$\text{მეგაბაიტები ზარის ერთ წუთზე} = \text{VoIPbit} - \text{rate} * 60 * 1024 * 8$$

3) უნდა გავამრავლოთ ხმოვანი ტრაფიკის წლიური მოცულობა (წუთებში) *"მეგაბაიტები ზარის ერთ წუთში"* კოეფიციენტზე, რომელიც მეორე ეტაპზე იქნა გაანგარიშებული.

<u>შპს „ჯეოსელი“</u>

დოკუმენტის მე-2 პუნქტში "ხარჯების გაანგარიშებისად მიდგომა" აღნიშნულია, რომ "სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორებმა უნდა მოამზადონ მარეგულირებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგება 2015 წლისთვის ხარჯების გაანგარიშების პირვანდელი ღირებულებით აღიცხვის მეთოდის გამოყენებით. მარეგულირებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგება შემდგომი პერიოდებისთვის, 2016 წლიდან, უნდა მომზადდეს დანახარჯების მიმდინარე ღირებულებით აღრიცხვის მეთოდით". აღნიშნულ მოსაზრებას არ ვეთანხმებით დავთვლით, რომ სასურველია ხარჯების გაანგარიშება პირვანდელი ღირებულებით აღიცხვის მეთოდის გამოყენებით განხორციელდეს როგორც 2015 წლისათვის, ასევე მომდევნო პერიოდებისათვის, ვინაიდან, ჩვენი აზრით, დანახარჯების მიმდინარე ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის გამოყენება ოპერატორებისათვის დაკავშირებული იქნება სოლიდურ დანახარჯებთან და ადამიანური რესურსების არარაციონალურ ხარჯვასთან.

პასუხი: განცალკევებული აღრიცხვის მიდგომა შესაბამისობაში უნდა იყოს საბითუმო მომსახურების ურთიერთჩართვის (FTR, MTR) ტარიფების განსაზღვრისთვის გამოყენებულ მიდგომასთან. შეუსაბამობა განცალკევებული აღრიცხვის და ურთიერთჩართვის მომსახურების ტარიფის განსაზღვრისთვის გამოყენებულ მიდგომას შორის არ იძლევა განცალკევებული აღრიცხვის შედეგების სწორად ინტერპრეტირების/გაანალიზების საშუალებას.

კითხვა: რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია "განცალკევებული აღრიცხვის მეთოდოლოგიის" საკონსულტაციო დოკუმენტი არ მოიცავს WACC-ს გამოთვლის მეთოდს, თუმცა ჩვენთვის საკმაოდ პრინციპული და მნიშვნელოვანია სრულყოფილი ინფორმაციის მიღება ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისად, გთხოვთ, განგვიმარტოთ/მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია.

პასუხი: WACC გაანგარიშების მეთოდოლოგია მობილური და ფიქსირებული ქსელებისათვის ცალკე დოკუმენტის სახით იქნება მომზადებული „Ernst and Young"-ის მიერ და წარედგინება ოპერატორებს.

კითხვა: აღნიშნული დოკუმენტის 3.1. ნაწილში წერია, რომ სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორი ვალდებულია ეროვნულ მარეგულირებელ ორგანს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს მარეგულირებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგებები, სააღრიცხვო პოლიტიკა და შესაბამისი აუდიტორული მოსაზრება/დასკვნა ფინანსური წლის დასრულებიდან 6 თვეში. იგივე დოკუმენტის 3.3 ნაწილში კი აღნიშნულია, რომ სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორმა უნდა მოამზადოს სააღრიცხვო პოლიტიკა და წარუდგინოს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს გადასამოწმებლად, მარეგულირებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე არა უგვიანეს 8 თვით ადრე. იგივე პუნქტში ასევე მოცემულია, რომ სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორმა სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტი ყოველწლიურად უნდა გამოაქვეყნოს ფინანსური წლის დასრულებიდან ოთხ თვეში. ერთი და იგივე დოკუმენტთან დაკავშირებული ვადები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან/ბუნდოვანია. შესაბამისად, სასურველია უფრო მკაფიოდ და არაორაზროვნად მოხდეს ვადების განსაზღვრა.

პასუხი:

სავალდებულო ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ყოველწლიურად.

2015 წლის სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების მომზადების ვადები განსაზღვრული იქნება აღნიშნული საჯარო კონსულტაციის ჩატარების და შესაბამისი საკანონდებლო ნორმების მიღების/ცვლილების საფუძველზე.

შემდეგი პერიოდებისთვის მომზადების ვადები შემდეგია:

1) ეტაპი 1 - სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორმა უნდა მოამზადოს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტის პირველადი ვერსია და წარუდგინოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას, სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე არაუგვიანეს 8 თვით ადრე (დაახლ. 20xx-1 ოქტომბრის ბოლოსთვის). ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტის პირველადი ვერსიის წარდგენის შემდეგ, კომისიამ შეიძლება წარმოადგინოს შენიშვნები და დოკუმენტში ცვლილებების შეტანის წინადადებები. სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორმა უნდა მოამზადოს სააღრიცხვო პოლიტიკის საბოლოო ვერსია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შენიშვნებისა და მის მიერ მოთხოვნილი ცვლილებების გათვალისწინებით, და საბოლოო ვერსია წარუდგინოს კომისიას. კომისია ამოწმებს, შესულია თუ არა მოთხოვნილი ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტში, და ამტკიცებს მას.

2) ეტაპი 2 - სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორმა უნდა გამოაქვეყნოს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტაციის საჯარო ვერსია ფინანსური წლის დასრულებიდან ოთხ თვეში - დაახლ. 20xx აპრილის ბოლოს.
3) ეტაპი 3 - სპეციფიკური ვალდებულების მქონე ოპერატორმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა წარუდგინოს მარეგულირებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგება (სრული ვერსია), სააღრიცხვო პოლიტიკა (სრული ვერსია) და შესაბამისი აუდიტორული მოსაზრება ფინანსური წლის დასრულებიდან 6 თვეში (დაახლ. 20xx ივნისის ბოლო). ამავდროულად, ოპერატორმა უნდა გამოაქვეყნოს სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების საჯარო ვერსიები და შესაბამისი აუდიტორული მოსაზრება.

<u>შპს „ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“</u>

კითხვა: მეთოდოლოგიის თანახმად, მომსახურებებზე ხარჯების განაწილების დეტალური წესები და ეტაპები განსაზღვრული უნდა იყოს ოპერატორის სააღრიცხვო პოლიტიკით. სააღრიცხვო პოლიტიკას ქმნის თითოეული ოპერატორი ინდივიდუალურად, მართალია იგი უნდა იყოს ფასს-ისა და ბასს-ის სტანდარტებთან შესაბამისობაში, თუმცა გარკვეული მიდგომები ინდივიდუალურია მომხმარებლის ეკონომიკური გადაწყვეტილების საჭიროებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს გარკვეული ერთი და იგივე ტიპის ხარჯების მიმართ ერთმანეთისგან განსხვავებული აღრიცხვის წესის ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, საბოლოო შედეგი გამოხატული ციფრებში, შეიძლება რადიკალურად განსხვავებული იყოს ერთი და იგივე ტიპის ოპერატორთან, შინაარსობრივად ერთი და იგივე მომსახურებაზე.

პასუხი: ოპერატორმა კომისიას უნდა წარმოუდგინოს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტი შესამოწმებლად და დასამტკიცებლად. შესაბამისად კომისიამ ყველა ოპერატორის ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტი უნდა შეადაროს შეუსაბამობების აღმოჩენისა და აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 1.3.1.3 კომუტირებული არხების ქსელის საერთო საზომ ერთეულში გადაყვანის ფაქტორი განმარტება ძალიან ზოგადია. გთხოვთ განგვიმარტოთ უფრო დეტალურად შესაბამისი მაგალითის განხილვით, ვინაიდან აღნიშნულის განუმარტაობა გამოიწვევს აღრიცხვიანობის დიდ უზუსტობას, რადგან გაანგარიშებაში ეს სიდიდე მნიშვნელოვანი მონაწილეა და მისი ბუნდოვანება აღრიცხვიანობის გამჭირვალეობას და სიზუსტეს ვერ უზრუნველყოფს.

პასუხი: ოპერატორებმა ხმოვანი ტრაფიკის მოცულობა უნდა იანგარიშონ მეგაბაიტებში, შემდეგ ეტაპებად:

4) უნდა ვიანგარიშოთ VoIP არხის საშუალო გამტარუნარიანობა 1.3.1.2. პუნქტში მოცემული ფორმულის გამოყენებით. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოყენებული ყველა მონაცემი უნდა ჩამოითვალოს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტში

5) უნდა ვიანგარიშოთ მეგაბაიტების საშუალო მოცულობა ზარის ერთ წუთზე, შემდეგი ფორმულის გამოყენებით

$$\text{მეგაბაიტები ზარის ერთ წუთზე} = \text{VoIPbit} - \text{rate} * 60 * 1024 * 8$$

6) უნდა გავამრავლოთ ხმოვანი ტრაფიკის წლიური მოცულობა (წუთებში) *"მეგაბაიტები ზარის ერთ წუთში"* კოეფიციენტზე, რომელიც მეორე ეტაპზე იქნა გაანგარიშებული.

კითხვა: ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს შრომის ანაზღაურებას, რომლის განაწილების მეთოდოლოგიაზე არ არის ცხადი მიდგომა. მაგალითად, თანამშრომელი თუ ტექნიკური პერსონალია და უზრუნველყოფს დღის განმავლობაში ორი პროდუქტის ტექნიკურ მომსახურებას, როგორ განაწილდება მისი ხელფასი.

პასუხი: იხილეთ ექსელის ფაილი განცალკევებული აღრიცხვის სახელმძღვანელო მითითებების დანართი N 2. გამოქვეყნებულია http://www.gncc.ge/ge/news/consultation-documents-and-presentations/gancalkevebuli-agricxvis-metodologiis-sakonsultacio-dukumenti.page

კითხვა: ისეთი აქტივების მომსახურების ხარჯი, რომლის მიკუთვნებაც ვერ ხერხდება კონკრეტულ პროდუქციაზე, ან და რომელიც უზრუნველყოფს ორი, ან მეტი, სხვადასხვა ტიპის პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობას, როგორ მოხდება მისი განაწილება, საუბარია შემდეგი ტიპის ხარჯებზე: საბილინგო მომსახურება, ძირითადი საშუალებების საგარანტიო მომსახურების ხარჯები, ფართის იჯარის ხარჯები.

სასურველი იქნება, თუ კონკრეტულ ხარჯების განაწილებაზე იქნება კონკრეტული და უფრო ნათელი განმარტება და აღრიცხვის მეთოდოლოგია

ასევე ისეთი ხარჯის განაწილების აღრიცხვის განმარტება, როგორიცაა: ზედნადები და ადმინისტრაციული ხარჯები.

პასუხი: იხილეთ ექსელის ფაილი განცალკევებული აღრიცხვის სახელმძღვანელო მითითებების დანართი N 2. გამოქვეყნებულია http://www.gncc.ge/ge/news/consultation-documents-and-presentations/gancalkevebuli-agricxvis-metodologiis-sakonsultacio-dukumenti.page

კითხვა: აღნიშნულ მეთოლოგიასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიით აღრიცხვის მოწესრიგებას დაჭირდება დიდი, როგორც ადამიანური, ასევე დროითი და შესაძლებელია ფინანსური რესურსიც. აქედან გამომდინარე სასურველია მეთოდოლოგია მოიცავდეს არა მხოლოდ თეორიულ განმარტებებს და თეორიულ აღწერილობას, არამედ პრაქტიკულ მაგალითებსაც, რომელიც ნათელს გახდის მეთოდოლოგიის სრულფასოვნებას. წარმოდგენილი მეთოდოლოგია ტოვებს ზოგადი განსაზღვრებების შთაბეჭდილებას თეორიული თვალსაზრისით და მოკლებულია პრაქტიკაში მისი დანერგვის ლიკვიდური შესაძლებლობით, თუმცა დამატებით ერთობლივმა მუშაობამ შესაძლოა მისი პრაქტიკაში დარენგვა უფრო მარტივი გახადოს.

პასუხი: იმის გამო, რომ 10 ზე მეტი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი (SMP) საქმიანობს სხვადასხვა ბაზარზე, შეუძლებელია თითოეული SMP-ეს საქმიანობის სპეციფიურობიდან გამომდინარე დეტალური მეთოდოლოგიის შედგენა, განცალკევებული აღრიცხვის მიმართ დეტალური მიდგომა დამოკიდებულია ქსელის სტრუქტურასა და ტექნოლოგიაზე, მონაცემების არსებობაზე და აღჭურვილობის მომწოდებელზეც კი, ფასწარმოქმნის სხვადასხვანაირი სტრუქტურის გამო. ამის გათვალისწინებით, თითოეულმა ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს დეტალური მეთოდოლოგია სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტში, რაზედაც კონსულტაციები უნდა გაიაროს კომისიასთან.